

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაგისტრანტ გიორგი სარალიძის

სამაგისტრო ნაშრომი

ინგლისურენოვანი ფილმების ქართულად დუბლირებასთან

დაკავშირებული პრობლემები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია მეცნიერებათა და ხელოვნების

ფაკულტეტზე

მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ელენე ტატიშვილი

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

## მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემი სამაგისტრო კვლევის ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორს ქ-ნ ელენე ტატიშვილს კვლევის პროცესში გაწეული რეკომენდაციებისთვის.

მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო კომპანია movie.ge - ის დამფუძნებელს, ბ.ნ ომარ ჯიჯილავას, სამაგისტრო ნაშრომისთვის აუცილებელი დოკუმენტის, „სამეფო კარის თამაშების“ მე-8 სეზონის ყველა სერიის ქართულენოვანი სუბტიტრების, უსასყიდლოდ გადმოცემისთვის. აგრეთვე უღრმეს მადლობას ვუხდით ბ.ნ ომარ ჯიჯილავას, რეკომენდაციებისა და რჩევებისათვის, ასევე, „სამეფო კარის თამაშების“ მე-8 სეზონის ყველა სერიის ინგლისურენოვანი სუბტიტრების, მოპოვებაში დახმარებისთვის. „სამეფო კარის თამაშების“ მე-8 სეზონის ყველა სერიის ინგლისურენოვანი სუბტიტრები წარმოადგენს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფაილს რომელსაც არ გააჩნია ნებართვის გაცემის საჭიროება, შესაბამისად შესაძლებელია გამოყენებული იქნას ნებისმიერი ფიზიკური პირის მიერ. „სამეფო კარის თამაშების“ მე-8 სეზონის ყველა სერიის ქართულენოვანი სუბტიტრები, კომპანია movie.ge ის საკუთრებაა და ნაშრომში გამოყენებულია, კომპანიის დამფუძნებლის ბ.ნ ომარ ჯიჯილავას ნებართვის საფუძველზე.

## აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოს ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი მიმართულება კინონდუსტრიაა, რაც განაპირობებს კინოპროდუქციზე მოთხოვნის ზრდას როგორც მსოფლიო, ისე ქართულ ბაზარზე. ნაშრომში განხილულია ქართულად დუბლირებული ინგლისურენოვანი ფილმების თარგმნისას გამოყენებული სტრატეგიები. კვლევა ეყრდნობა ლოურენს ვენუტის თეორიას გაშინაურებისა და გაუცხოების სტრატეგიების შესახებ და ეკვივალენტობის თეორიებს. საკვლევ მასალად გამოყენებულია დევიდ ბენოფისა და დ.ბ. ვაისის ცნობილი სერიალის „სამეფო კარის თამაშების“ მე-8 სეზონის სერიები. დადგინდა, რომ ფილმის ქართულად დუბლირებისას მეტწილად გამოყენებულია გაშინაურების სტრატეგია, რომელიც ვლინდება გრამატიკულ, ლექსიკურ და ფრაზეოლოგიურ დონეზე, თუმცა გარკვეული კულტურული და სოციალური რეალიების თარგმნისას გამოყენებულია გაუცხოების სტრატეგია.

ფილმის ტექსტების ქართულ თარგმანში გამოყენებული სტრატეგიების ანალიზის შემდეგ ასევე ჩატარდა მცირე მასშტაბის თვისებრივი კვლევა მხატვრული ფილმის ქართულად დუბრილებასთან დაკავშირებული პრობლემებისა და მათგან გამომდინარე კმაყოფილების გამოსავლენად. კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი, ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ. კვლევის შედეგად გამოვლინდა მათგან გამომდინარე მცირე ადგილი დუბლირებულ თარგმანთან დაკავშირებული ხარვეზები, რომელთა ნაწილი გაუცხოების სტრატეგიას უკავშირდება.

ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია მხატვრული ფილმების ქართულ ენაზე დუბლირებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

## **Abstract**

This paper aims to analyze translation strategies applied in the translation of English-language feature films when dubbed into Georgian. The research draws on Lawrence Venuti's translation strategies of foreignization and domestication as well as on equivalence theories. The research is supplemented by a qualitative questionnaire aimed at revealing viewers' reception of dubbed films. By analyzing the Georgian dub version for an American fantasy drama, the "Game of Thrones" by David Benioff and D. B. Weiss, the paper concludes that domestication prevails in the translation, although foreignization is applied to render a number of sociocultural facts, which invites different responses from the viewers. The results of the questionnaire allow an assessment of viewers' acceptability of dubbing and identification of challenges, including those related to translation. In the end, the paper offers relevant recommendations.